რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა კით. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".

## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

**სასწავლებელი და პანსიონი**

**ა. ტერ-აკოფოვისა.**

იყვანს მოწაფეებს სახლიდგან მოსიარულეებს და პანსიონერებსაც. ამზადებს მეხუთე კლასამდე შესასვლელად გიმნაზიებს, რეალურ სასწავლებელსა, კადეტთა კორპუსსა და სხვა სასწავლებლებში მისაღებად. ქართველებს ქართულსაც ასწავლიან. მოწაფენი მიიღებიან 6 წლისა და მეტისა. ადრესი: ტფილისი, განოვის ქუჩა, № 11. (13—6)

**პანცერი და გლუხოვსკი**

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯევის სახლი (ეზოში).



ახლად გაღებულ ქარხნის საწყობი

**საკერავი მაშინებისა**

ნამდვილის **ზინგერ-ნაუმანის** და სხვა გამოჩენილ სისტემის მაშინები: ოჯახებისათვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქარხნისაა. (15—ფ.—3).

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**უ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ბ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შ არდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.** (წ)

## რედაქციისაგან

დღე ყოველ მოგვდის თხოვნა ახალ ხელის-მომწერთაგან, ძველი ნომრები გამოგვიგზავნეთო. ბევრი გვთხოვს პირველი ნომრიდგან გვინდა გაზეთიო. რადგანაც სათითაოდ წერილის მიწერა ყველასთან მეტად ძნელია, ამიტომ ვაცხადებთ, რომ 20 ნომრამდე გაზეთი სულ გავიდა და რედაქციას აღარ მოეპოვება. ახალი ხელის მომწერნი მხოლოდ 20 ნომრიდგან მიიღებენ გაზეთს. ხოლო ვისაც ამ ნომერს შემდეგ შიგა და შიგ თითო-ოროლა ნომერი დაჰკლებია, ფოსტისა თუ ჩვენის ბრალით, ვთხოვთ შეგვატყობინონ და დაკლებული ნომრები დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ.

**კბილის ექიმი**

**მ. ი. პიპინაძე**

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის" რედაქციის ქვეშ.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

**ექიმი**

**უ. მ. ჩიქოვანი**

ავადმყოფთ იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7-მდე.

მიხეილის ქუჩა, № 16.

**ქართული თეატრი**

კვირას, 24 ნოემბერს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან, ავალიშვილისა, ალექსი-მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება

**ურიელ-აკოსტა**

ტრ. 5 მოქმედ. თარგ. ბაქრაძესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ივანიძე, კუნდელი, ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, მარჯანიშვილი, გამყრელიძე, კანდელაკი, აღამიძე, კარბელი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**დასაწყისი სწორედ 8 საათზე**

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან").

19 ნოემბერი.

**სტამბოლი.** კუნძულ კრიტზედ ჟანდარმერიის რეფორმის გამო კომისიის კრება გათავდა. შესაფერ ოქმს ხელი მოაწერეს ოსმალეთის დელეგატებმა და თან დასძინეს, ჩვენს მთავრობას არ უნდა, რომ ჟანდარმებად უცხოელები იყვნენ და მხოლოდ ჟანდარმების აფიცრებად დროებით დანიშნავენ უცხოელებსო.

**სოფია.** გუშინდელ არჩევანებზედ სტოილოვს 6,714 თეთრი კენჭი ამოუვიდა. ამდენი თეთრი კენჭი ჯერ არც ერთს კანდიდატს არ ამოსვლია. ამდენივე თეთრი კენჭი ამოუვიდათ მინისტრს გეშოვს და მთავრობ ი მომხრე სხვა კანდიდატებსაც. ფილიპოპოლში სტოილოვს და მანჯაროვს თითოს 4000 თეთრი კენჭი ამოუვიდათ. რუშჩუკში აირჩიეს ტოლოროვი და ბელევი. აგრეთვე იუწყებიან, რომ ოპოზიციის დასს 15 ადგილზე მეტი არ ერგო და მისი მოთავენი—რადოსლავოვი, გრეკოვი, ცანკოვი და კარაველოვი არ იქმნენ არჩეულნი.

## დაგვიანებული დეპეშა.

19 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** საიმპერატორო სახლობის მინისტრის ბრძანება: „ამა წლის 15 ივლისის უმაღლესის ბრძანების თანხმად, შენიშვნას ვაძლევ საგანგებო საქმეთა აღმსრულებელ მოხელეს, ჩემთან დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ბერს, რომელიც განაგებს კერძო დაწესებულებას ჩემდამო მონდობილ სამინისტროში, იმ უყურადღებობისა გამო, რომელიც გამოძიებამ აღმოაჩინა ხოდინის მინდორზე 18 მაისს მომხდარ უბედურების დროს.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. ჟურდი (სოციალისტი) წინადადებას აძლევს პალატას, დაუყოვნებლივ მოეთხოვოს მთავრობას დეპუტატ შოვენის განთავისუფლება, რომელიც გუშინ შეპყრობილ იქმნა კარმოშიო. ჟურდი ამბობს, რომ საქმე პარტიობაში არ არის, არამედ პარლამენტის ღირსებაში. დარლანი უპასუხებს, რომ შოვენის შეპყრობაზე ბრძანება იმიტომ გასცა მთავრობამ, რომ იგი შოვენი დაჭერილ იქმნა ბოროტ მოქმედებაზეო, ხოლო თუ პალატა მოითხოვს შოვენის განთავისუფლებას და სასჯელის მოსპობას, მაშინ მთავრობა დაემორჩილება პალატის ასეთს სურვილსო. ჟურდანის წინადადება მიღებულ იქმნა პალატაში 235 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 75 ხმისა.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. საიმპერიო ბიუჯეტის 1897—1898 წლის სავარაუდო ანგარიშის აღრიცხვის დროს პოსადოვსკი ამტკიცებს ფინანსთა გაუმჯობესობას 1897—1898 წ. უეჭველია, შემოსავალი ხარჯს აღემატება 24½ მილიონიათო. წევრი ცენტრისა ფრიტცენი ამბობს,

რომ ფინანსები 1897—1898 წლისა ისე კარგი არ არის, როგორც მიმდინარე წლისაო. ორატორი ამბობს იმ უკმაყოფილობაზე, რომელიც ხალხში გამოწვეულ იქმნა უზომო დათხოვნით სამხედრო სამსახურიდან, რომელიც ეხლა ხდება და ამის გამოისობით პენსიის თანხა ერთი სამად გადიდდა და იმავ დროს ძალზე იმატა ერთბაშად ხარჯმაო. ზღვის ბიუჯეტი ძალზე გაზვიადებულია და მას უთუოდ შემცირება უნდაო; შესაძლებელიც არის კიდეც, რომ ძალიან შემცირდესო. ძალიან სეჭვო არის, რომ რეიხსტაგი დასთანხდეს ზღვის ბიუჯეტის გადიდებას, რადგან რაერთი ხანია ხარჯი თანდათან მატულობს და ბოლოც აღარ სჩანს. დღეს კიდევ ახლად აპირობენ ხარჯის მომატებასო. „ჩვენ სრულებით არა გვსურს, დაუმატა ფრიტცენმა, რომ ჩვენ წვენთან ერთად სისხლიც გვადინონო, ჩვენ სულაც არ გვინდა ვსდიოთ იმ ოცნებით პოლიტიკას, რომელიც ქვეყნიერების ბატონობას გვიქადის და რომელმაც ერთ ხანად კინაღამ დაჰღუპა გერმანიის იმპერიაო“. (მოწონების ნიშნები მოისმის ცენტრში და მემარცხენეთა დასში). რიხტერი ამბობს, რომ თავისუფალ მოაზრეთა საერო პარტია უარ-ჰყოფს ახალი გემების აგებასაო. გემების გამრავლებას ალბათ კავშირი აქვს რუსეთსა და საფრანგეთის საერთო მოქმედებაზე გავრცელებულ ხმებთან, რომელიც ამას წინად ფონ-მარეშალმაც წარმოსთქვაო. ხოლო როცა ორატორი სამხედრო ბიუჯეტს შეეხო, მოიგონა გენერალ ბრონზარის სამსახურიდან დათხოვნა და სთქვა: „სამხედრო სამინისტროს ამბავი თავიდან მოყოლებული ბოლომდე მხოლოდ გამუდმებული ინტრიგისა და ძვალ რბილში გამჯდარ შენ-ჩემობის ამბავიაო». თავადმა ჰოგენლოემ განაცხადა: რადგან სამხედრო ბიუჯეტზე ყოველივე წინადადება და საზოგადოდ ჯარზე ბაასი მარტო მე შემეხებაო, ამიტომ რიხტერს სთხოვა, ყოველგვარ კრიტიკულს შენიშვნებით მხოლოდ მე მომმართეთ და სხვებს ნუ ახვევ თავზე, მით უფრო, რომ სამხედრო სამინისტროს საქმენი პარლამენტისაგან დამოუკიდებელნი არიანო; მე, იმპერიის კანცლერმა, მოვახდინე გენერალ ბრონზარის სამსახურიდან გადაყენება, მას შემდეგ, როცა დავრწმუნდი, რომ ბრონზარმა არ მოისურვა თავის თხოვნის უკან წაღებაო.

**სტამბოლი.** სომხის პატრიარქის ორმანიანის ამორჩევანი ხონთქრისაგან დამტკიცებულ იქმნა.

**სოფია.** შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ივანოვი დანიშნულია სამხედრო სამინისტროს დროებით გამგებლად.

**ფილიპოპოლი.** სტამბოლში კიდევ შეიპყრეს ზოგი ერთი სოფტები.

---

## კანონი და მთავრობის განკარგულება.

საადმინისტრაციო დაწესებულებაში. ტიტულიარნი სოვეტნიკი თავადი კასტანგ ბარათაშვილი ამ თვის 15-დან დანიშნა თიანეთის მაზრის პოლიციის ბოქაულად.

---

# ახალი ამბავი

*** **უთანხმოება ქალაქის ტყის და ბაღების ზედამხედველ ლისნევსკისა და ამავე საქმის გამგე კომისიის შორის.** ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ქალაქის ახალშენ ტყის ზედამხედველი ბ-ნი ლისნევსკი თავს ანებებს თავის თანამდებობას. ეს ამბავი დიდად არ ესიამოვნა ქალაქის გამგეობას, და ამიტომ ქალაქის თავის მოადგილემ ბ-ნმა ა. ა. ივანენკომ მოიწვია გამგეობის კრებაზე თავმჯდომარე ტყისა და ბაღების გამგე კომისიისა ბ-ნი როტინოვი საქმის ვითარების გამოსარკვევად. აღმოჩნდა, რომ ბ-ნი ლისნევსკი იძულებულ იყო, ხელი აელო ზედამხედველობიდამ, რადგან ზოგიერთი წევრი კომისიისა ერეოდა მის სპეციალურ განკარგულებაში და ავიწროებდა მის მოქმედებას, რის გამოც საქმეს წარმატება არ ეტყობოდა და პასუხის მგებელი კი მაინც ბ-ნი ლისნევსკი გამოდიოდა. მიიღო რა მხედველობაში გამგეობამ ხსენებული გარემოება, ერთხმივ დაადგინა სთხოვოს ბ-ნ ლისნევსკის, არას გზით არ დაანებოს თავი საბჭოს მიერ მინდობილ საქმეს. ამასთანავე გამგეობამ დაავალა კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ როტინოვს, რომ მან იხმაროს ყოველი ღონის ძიება იმ უკმაყოფილებათა ასარიდებლად, რომელნიც ხელს უშლიან ბ-ნ ლისნევსკის ტყის მოშენების საქმეში.

*** **ალექსანდრეს ბაღის გაოხრება ფოსტის მოხელეთაგან.** უცნაური ამბავი მომხდარა იმ კვირია; თურმე, ფოსტის მოხელეები ტელეგრაფის მავთულების გასაყვანად მისდგომიან ალექსანდრეს ბაღის ხეებს და სადაც ეხერხებოდათ, სულ დაუჭრიათ ბაღი და ხეივნებიც ალაგ-ალაგ დაუთხრიათ, თითქოს მტერი დასცემიაო. გუშინ წინ ქალაქის საბჭოს ამაზე დიდი ლაპარაკი ჰქონდა და ეხლა, როგორც შევიტყეთ, ქალაქის გამგეობას ოქმი შეუდგენია და საჩივარი მიუცია ფოსტა-ტელეგრაფის უფროსისათვის.

*** **შემწეობის აღმოჩენა მცირეწლოვან დამნაშავეთა თავშესაფარისათვის.** წელს ქალაქის საბჭომ შეაწია ოცდა-ათი თუმანი იმ საზოგადოებას, რომელმაც გაჰმართა ოქროყანაში თავშესაფარი მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის. ეს დამნაშავენი ხსენებულ თავშესაფარში სწავლობენ სხვა-და-სხვა ხელობას და იწვრთნებიან, როგორც ზნეობრივ, აგრეთვე გონებრივ. ეხლა თავმჯდომარე ამ ყოვლად სასარგებლო საზოგადოებისა ბ-ნი ბიკოვი სთხოვს ქალაქის თავის მოადგილეს ბ-ნ ივანენკოს, რომ ამან კვლავ მიაქციოს ყურადღება საბჭოსი საზოგადოების დანიშნულებას და კვლავ გამოაღებინოს დახმარება, რადგან თავ-შესაფარში სულ 25 ყმაწვილია და მათში 16 სული გამოგზავნილია კავკასიის სხვა-და-სხვა ქალაქების მოსამართლეთა გარდაწყვეტილებით. ამ სათხოვარზედ ბ-ნმა ივანენკომ მიჰმართა დასახელებულ თავმჯდომარეს ქაღალდით, რომელშიაც ეკითხება, მაგ 16 ყმაწვილში რამდენია ტფილისის მოსამართლეთა მიერ გამოგზავნილი, რომ ამისდა კვალობაზედ შეეძლოს საბჭოს ვარაუდი შესახებ შემწეობის რაოდენობისაო.

*** **ბათუმის ქალაქის მოურავ ბ-ნ ლ. ნ. ასათიანის გამგზავრება**

---

## თეატრის მატიანე.

### სალვინის მოგონებანი*).

„წარმოდგენის საღამოზედ არა თუ მთელი თეატრის დარბაზი იყო სავსე, არამედ მთელი ქუჩა თეატრის წინ ხალხით იყო მოფენილი. ვთამაშობდი ოტელლოს... ძალიან ვშიშობდი, პირველად უნდა მეთამაშნა ამ უცნაურის ხალხის წინაშე და მერე უცნობ ენაზედ... მაგრამ პირველი მონოლოგის წარმოთქმის შემდეგ ეგ შიში სრულიად დავკარგე, რადგან აღტაცებული ვაშას ძახილი მომესმა... მთელმა წარმოდგენამ ისე ჩაიარა, რომ ერთი შეცდომაც არ მოგვსვლია ამ ენების არევ-დარევით. ყველა წარმოდგენები კარგად წავიდა ნიუ-იორკში, ჩემი იმპრესარიო სიამოვნებით ხელებს იფშვნეტდა და გაიძახოდა, მთელი ამერიკა დავიმონავეთ, ნუღარას ფიქრობთ, რადგან აქ ასე მოეწონეთ, ყველა ქალაქებში აღტაცებით მიგიღებენო.

მართლაც ასე მოხდა. საცა-კი გავმართეთ წარმოდგენები, ყველგან ძალიან კარგად მიგვიღეს... ზოგიერთ ქალაქებში გამოუცდელი არტისტები შემხვდა და ეს ცოტას მაფერხებდა, მაგრამ მთელ მოგზაურობიდამ მაინც გამარჯვებული გამოვედი და ყველა მთხოვდა ისევ მალე მოვსულიყავ ამერიკაში წარმოდგენების გასამართავად... მე ვიყავ ამერიკაში მას შემდეგ კიდევ ოთხჯერ და რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ყოველსავე ხარჯს დავფარავდი, თან ჩემი დასიც დამყავდა. ეს უფრო მოხერხებული საქმე იყო, რადგან არც რეპეტიციებზედ ვკარგავდი დროს და არც იქაურ არტისტების მომზადებაზე. რომელ ქალაქშიაც მივიდოდი, იმ დღესვე შემეძლო წარმოდგენების დაწყობა. ჩვენი რეპერტუარი მთელმა დასმა ისე ვიცოდით, რომ სუფლიორი არ გვჭირდებოდა და ეს იქაურებს ძალიან მოსწონდათ.

ამერიკელები მეტის ყურადღებით ისმენდნენ შექსპირის თხზულებების წარმოდგენებს.. და მეც მადლობელი უნდა ვიყო ჩემი ხელოვნების ღმერთის შექსპირისა... წარმოუდგენელია და აუხსნელი ის სიამოვნება, რომელსაც არტისტი გამოცდის— როდესაც კი მაყურებელი გაიგებს იმისაგან ნათამაშევ როლს და აღტაცებით მიეგებება... მე ეს სიამოვნება, დატრაბახებით არას ვამბობ, ბევრჯელ გამომიცდია და განგებას მადლობას ვსწირავ ამისათვის“!.

„როდესაც პირველი მოგზაურობა გავათავე და დავბრუნდი ევროპაში, მიმიწვიეს რუსეთში. რუსეთის თეატრის საზოგადოება ყველა ხალხზედ უფრო აღტაცებული მეჩვენა. ისეთის თანაგრძნობით მიმიღეს ხალხმაც, არტისტებმაც, რომ ეს უთუოდ უნდა აღვნიშნო ჩემს მოგონებაში, და ამით მაინც მადლობა გადავუხადო. ჩემზედ წინად რუსეთში იყო მიწვეული გამოჩენილი არტისტი როსსი. იმის წარმოდგენებმა გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზედ და ძალიან დაჯილდოებულიც გაისტუმრეს. ეს ამბავი ვიცოდი და მეფიქრებოდა, ვინ იცის, იქნება, ჩემი თამაში არ მოეწონოთ, მეთქი, რუსეთში. პირველმა წარმოდგენამ დაგვიმტკიცა, რომ ეგ უსაფუძლო ფიქრი იყო, თითქმის ისე მიმიღეს, როგორც როსსი და იმავე პატივისცემით ბ საჩუქრებით დამაჯილდოეს. ყველაზედ სასიამოვნოთ მიმაჩნდა მწერლების თავაზიანი კილო წარმოდგენების გარჩევაში. ზოგიერთ როლებში ჩემი და როსსის მიერ ნათამაშევში მათ მოჰყავდათ შედარება და ორივეს პირუთვნელად, მაგრამ, როგორც ვსთქვი, თავაზიანად გვიხსენიებდნენ; ამბობდნენ, თუ რა და რა ადგილას მე უფრო ძლიერი ვიყავი და რომელს ადგილს როსსი.

რუსეთში მე ვნახე მაშინდელი პირველი არტისტი სამოილოვი. დავესწარი იმის წარმოდგენებს. მართლაც, რომ ღირს შესანიშნავი არტისტი იყო. ის ისე სინამდვილით თამაშობდა ლირისა და რიშელიეს როლებს, რომ მარტო როსსი თუ შეედრებოდა მთელს ევროპაში.

—

„იმპერატორი ვილჰელმ I დროს

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 31.

პეტერბურგს. წარსულ კვირას ბათომის ხმოსნებს კერძო კრება ჰქონდათ, სადაც განუხილავთ მრავალი კითხვები ქალაქის საქმეთა შესახებ; დასაბუთებულის კითხვებით ბ-ნი ასათიანი, თურმე, ამ ცოტას ხანში პეტერბურგს გაემგზავრება უმაღლესს მთავრობასთან ქალაქის საქმეთა გამოსაშუამდგომლოდ.

*** ბათომში მოვიდნენ ბქლემებით ახალციხელი ვაჭრები სიმინდის საყიდლად და ახალციხის მაზრაში წასაღებად, რადგან იქ სიმინდი წელს არ მოვიდა.

*** ბათომშივე ქუთაისის ოლქის სასამართლო 19 დეკემბერს გაარჩევს იქაურ რუსულ გაზეთის რედაქტორის პალმის საქმეს, რომელსაც ბათომელივე კომისიონერი ჰაჯი-რიზა-აბაევი ცილის წამებას აბრალებს.

*** ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ იყო ამბავი ბათომიდან მზარეულის მოტაცებაზედ. ეხლა როგორც «ჩერნო მორსკი უწყება» ამბობს, ეგ ხმა ტყუილი გამომდგარა. სკორჟინსკის მზარეულთან მისულან ცოტათი შექეიფიანებულები მისივე ამხანაგები, წაუყვანიათ სასეირნოთ და, სხვათა შორის, ზღვაშიაც გაუსეირნიათ ფილუგით; ხოლო მეორე მოსამსახურეს, რუსის დედაკაცს, შიშით (ან იქნება სხვა რამ მოსაზრებით) მზარეულის ამხანაგები ავაზაკები ჰგონებია და მიტომ აუტეხია მთელი ეს ალიაქოთი: ვითომ და ავაზაკებისაგან თავს დასხმა და მზარეულის მოტაცება. ტყუილათ კი არ არის ნათქვამი ჩვენში: ფაფით პირ დამწვარი დოს უბერავდაო“. აქაო და ბათომში მდიდარ კაცებს ავაზაკები იტაცებენ და მერე ძარცვამენო, ეხლა ავაზაკებს მზარეულის მოტაცებასაც აბრალებენ.

*** საქონლის ჭირი გაჩნდა ტფილისის მაზრის აგარაკ ელპაში. ავად გახდა 12 ცალი სხვილ ფეხი საქონელი, მოკვდა 9.

*** ზარების ახალი ქარხანა. ინჟენერებ იარალოვის და ალიხანოვის ქარხანას ტფილისში შემოუღია ფრიად სასარგებლო საქმე, დღეიდგან ქარხანაში ამზადებენ და აკეთებენ თურმე დიდ ზარებს საყდრებისათვის. აქამდინ ზარებს რუსეთის შიდა გუბერნიებიდამ იწერდნენ და მეტად ძვირად ჯდებოდა მათი სყიდვა ხშირად გადმოტანაში ტყდებოდა კიდეც.

*** რკინის გზა ჭიათურიდამ საჩხერემდე. თავ. გ. დ. წერეთელმა ნება-რთვა ითხოვა ვიწრო ლიანდაგის რკინის გზის გამართვისა ჭიათურიდგან საჩხერემდე. ქუთაისის საგუბერნიო მთავრობამ უკვე განიხილა ეს საქმე და უმაღლეს მთავრობას წარუდგინა.

*** ახალი ათ-თუმნიანები. მთავრობას განზრახვა აქვს მომავალ წელს ახალი ათ-თუმნიანები მოსჭრას, იმ სახისა, როგორც ეხლა თუმნიანებია.

*** გზკვაგის გზა. გუდაურისაკენ გზა შეიკრა. ძლიერა თოვს. კობთან დიდი თოვლი და ნამქერია. ყაზბეგთან ძლიერ დიდი თოვლია. გზები შეკრულია. ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

*** თოვლი ტფილისში. გუშინწინ ღამე და გუშინ დღისით ტფილისში ერთთავად სთოვა და დიდი თოვლიც დასდო. ტრამვაის ვაგონები დილით ვერ დადიოდნენ, მინამ ლიანდაგი არ გაიწმინდა. ერთ ღამეს იმდენი თოვლი დასდო, რომ დილით მარხილები თავისუფლად დადიოდნენ.

*** ბათომში ამ თვის 12 ამიერ კავკასიის რკინის გზით ჩამოუტანიათ ნავთი და ნავთისვე სხვა მა'ალები 212,366 ფუთი, 13 და 14 ნოემბერს 476,622 ფუთი, ხოლო სამის დღის განმავლობაში 688,988 ფუთი.

*** გაფუჭებული ქუჩა. ანდრეევის ქუჩაზე ყოველთვის დიდი მოძრაობაა—უმეტესი ნაწილი საქონლისა ამ ქუჩაზე მიაქვთ და მერე მიხეილის ან ელისაბედის ქუჩაზე შეუხვევენ ხოლმე, და ამიტომ ჩვენის აზრით ეს ქუჩა ღირსია მისი, რომ ყურადღება მიექცეს ქალაქის გამგეობისა, მაგრამ სად-არის—აბა გაიარეთ ამ ქუჩაზე და მაშინ დარწმუნდებით, რა ყურადღებით ეპყრობა ქალაქის გამგეობა მცხოვრებლების ინტერესებს. ამ ქუჩაში ბულვარის ქუჩიდგან უნდა შეუხვიოთ, იქ საცა სასტუმრო „მარსელია». შეუხვევთ თუ არა, წინ დაგიხვდებათ უდიდესი მორევი; ოდესღაც ამ ქუჩაზე შოსე გაუკეთებიათ, ჟამთა ვითარებას ეს შოსე ჩაუღრმავებია და ეხლა შოსეს მაგივრად, როგორც ზევით მოგახსენეთ, წყლის მორევი სდგას, რომელიც ზაფხულშიაც-კი ძლივს გაშრება ხოლმე. გაივლით თუ არა ამ მორევს, წინ დაგიხვდებათ ქვით მოუკირწყლავი ქუჩა და წარმოდგენილი გექნებათ, რა მდგომარეობაში იქნება ეხლანდელ ძანძალში მოუკირწყლავი ქუჩა. საპალნე ამის მიუხედავათ ამ ქუჩაზე დააქვთ მეეტლებს და [illegible]დგენილი გექნებათ, რა გაჭირვებით მიათრევენ თავის მძიმე ტვირთს საცოდავი პირუტყვები. ამათი წვალებას ნახვით გულ-ქვაც-კი შეიბრალებს, მაგრამ ვისიც შესაბრალისნი ანიან, ისინი ყურსაც არ იბერტყავენ.

*** ფული მიეცემათ ვარშავის რკინის გზაზედ მომხდარ უბედურებით დაზარალებულთ: მოკლულ მგზავრათა ოჯახობათ—15,000 მან., რკინის გზის მოსამსახურეთა ოჯახობას —5,000 მან. და მოკლულის ერთის წლის ჯამაგირი. დაჭრილთ მგზავრთ 5,000 მანათიდგან 10,000 მანათამდე, ხოლო რკინის გზის მოხელეთ—2,000 მანათიდგან 5,000 მანათამდე.

*** გულ-კეთილი ქურდი. ოდესაში ერთი ვაჭარი გაუქურდავთ და სხვათა შორის წაუღიათ მისი ცოლის თბილი წამოსასხამი. ქურდი წასულა ქალაქის ლომბარდში, დაუგირავებია წამოსასხამი 25 მანათად და კვიტანცია გაუგზავნია ადგილობრივ ბოქაულისათეის შემდეგის წერილით:

მოწყალეო ხელმწიფევ!

„მოგეხსენებათ, რომ ზამთარი დგება, საცაა ძლიერ აცივდება. გიგზავნით ამასთანავე ჩემ მიერ მოპარულ და 25 მანათად დაგირავებულ თბილ წამოსასხამის კვიტანციას. ვაჭრის ცოლი უწამოსასხამოდ უეჭველია გაცივდება და ავად გახდება. ამიტომ, რაც შეიძლება მალე გადაეცით ეს კვიტანცია, რომ თავისი წამოსასხამი გამოისყიდოს და ჩაიცვას, თორემ თუ ავად გახდა, ეს ჩემი ბრალი იქნება და მე მისი ცოდო რად მინდა!

ოსტატური ქურდობა ფოსტაში. 18 ოქტომბერს ფოსტაში მივიდა

---

მიმიწვიეს ბერლინში სათამაშებლად. მაშინ იმპერატორის სახლობა პოტსდამში ბრძანდებოდა და როდესაც ბერლინში დავათავე წარმოდგენები, მომივიდა პოტსდამიდგან ცნობა, რომ იმპერატორს სურს სასახლის თეატრში წარმოადგინოთ „ოტელო“-ო. მე წავიყვანე დასი პოტსდამში, თვით სასახლეში დაენიშნათ ჩვენთვის ბინა და საღამოზედ წარმოდგენა გავმართე... წარმოდგენის დაწყებამდის მოვიდა იმპერატორის გოფმეისტერი და დამეკითხა, თუ რამდენს ფულს მოვითხოვ ამ წარმოდგენისათვის; მე მოვახსენე, არასფერს, მეთქი.

— ეგ როგორ იქნება... მე მაგ პასუხით ვერ მივალ იმპერატორთან, მითხრა იმან!

— მაშ, მიბოძეთ ჯილდოთ ის ჩელთათმანები, რომლითაც კრონპრინცესა *) ტაშს დამიკრავს და სხვა არა მინდა რა.

გოფმეისტერი ძალიან გაკვირვებული მომშორდა.

წარმოდგენის მეორე დღეს მიმიწვიეს სასახლეში. იმპერატორმა, მემკვიდრემ და მისმა მეუღლემ ძალიან თავაზით მიმიღეს, ბევრი სასიამოვნო სიტყვები მამასმინეს. განსაკუთრებით ყურადღება მომაქცია ფრიდრიხმა, მემკვიდრემ, რომელიც ძალიან მადლობას მწირავდა სიამოვნებისაოვის.

როდესაც პოტსდამიდამ რკინის გზის სადგურზედ მოვედი, იმპერატორისაგან გამოგზავნილი დიდი ბრილიანტის ბეჭედი ჩამაბარეს.

—

„იტალიის მეფე ვიქტორ-ემანუელს ძალიან უყვარდა დასწრება ჩემს წარმოდგენებზედ. ერთხელ მიმიწვიეს სასახლეში.

კოროლი თავის კაბინეთში იყო. შევედი თუ არა, წამოდგა ფეხზედ, წამოვიდა ჩემკენ და ორივ ხელები დამიჭირა...

— ჩემო სალვინი, მითხრა იმან გრძნობიერის ხმით, მადლობელი ვარ, რომ მოხვედით ბებერთან სამასლაათოდ.

— მე ყოველთვის დიდის სიამოვნებით ვიახლები თქვენს დიდებულებას...

— კი, მაგრამ ამბობენ, რომ შენ რესპუბლიკანურ მთავრობის მიმდევარი ხარ!

— როდესაც ტახტზე ისეთი ჯენტლმენი და კანონის დამცველი ზის, როგორიც არის იტალიის კოროლი ვიქტორ-ემმანუელი, მაშინ მე რესპუბლიკისა და მეფობის შორის განსხვავებას არა ვხედავ, ვუპასუხე მე თავის დაკვრით...

— მადლობელი, მადლობელი ვარ...

დავსხდეთ—მომხვია ხელი და სავარძელთან მიმიყვანა. — მოვსწიოთ სიგარა და ვილაპარაკოთ. მე დღეს დრო მაქვს და მინდა შენთან ლაპარაკით ვისიამოვნო.

მართლაც სასიამოვნო საგნებზედ დაიწყო ბაასი... გამომკითხავდა ისე ყველაფერს, ვითარცა მამა. დიდი მფარველი იყო ხელოვნებისა და თან მზრუნველი. იცოდა ზედ მიწევნით შექსპირის თხზულებები, თვითონაც კარგათ ჰკითხულობდა და მეც წამაკითხებდა ხოლმე... ამ გვარ კაცთან ბაასი ჩემთვის ბედნიერებას შეადგენდა, იმიტომაც ყოველთვის დიდის მადლობით და პატივისცემით მოვიხსენიებ ხოლმე ამ მართლა და თავით-ფეხამდე კეთილ-შობილს მეფეს.“

—

ეს პატარ-პატარა ამბები მოგვყავს იმის ნიმუშათ, თუ როგორის პატივისცემით ეპყრობოდნენ სალვინის. სადაც კი გამოჩნდა, ყველა დაიმონავა თავის მძლავრ ხელოვნურ თამაშით. ეხლა სალვინი თვითონ იშვიათად თამაშობს, მაგრამ იმისი ადგილი დაიჭირა მისმა შვილმა, რომელიც მამაზე ნაკლებ სამსახურს არ გაუწევს ხელოვნებას და იმისივე სახელს დაიმსახურებსო, ამბობენ იმის თამაშის მნახველნი.

ა. მესხი.

*) მემკვიდრის მეუღლე.

ეროვნული

ვიღაც კაცი, წარუდგინა ფოსტის მოხელეს გიორგი ზურაბის ძეს სოსიანცს ბოქაულის მიერ ხელ-მოწერილი და ბეჭედ დასმული უწყება ფოსტისა 40 მანათისა და წაიღო წერილი და ფული, გამოგზავნილი ხელინოვის ქარვასლაში მცხოვრებ მოშე ბათოშვილის სახელობაზედ.

ერთის თვის შემდეგ, 19 ამა ნოემბერს, ფოსტაში გამოცხადდა თვით მოშა ბათოშვილი და განაცხადა, წერილი მივიღე, რომ ჩემს სახელობაზედ გამოგზავნილი ყოფილა ფოსტით 40 მანათი ფული და წერილი და რატომ უწყება არ მომდის. ფოსტის მოხელემ უპასუხა, ფული აკი წაიღეთო, და როდესაც ბათოშვილმა კვლავ უარი განაცხადა, არც უწყება და არც ფული არ მიმიღიაო, ფოსტის მოხელემ კარგად გასინჯა უწყება, რომლითაც ფული იყო მიღებული და მხოლოდ ეხლა შეამჩნია, რომ უწყებაზე ბოქაულის ბეჭდის მაგიერად შაურიანით იყო ბეჭედი დასმული და ბოქაულის გვარიც, რა თქმა უნდა, მისი ხელით არ იყო მოწერილი. ბ-ნი სოსიანცი იძულებულ იქმნა თავისი ჯიბიდგან მიეცა ფული მოშა ბათოშვილისათვის.

## პოლიციის მატიანე

19 ნოემბერს, დილის 11 საათზედ, გოლოვინის პროსპექტზედ, ეტლმა გაიტანა ოზურგეთის მაზრის, სოფ. სამების მცხოვრები ილიტა ბიჭიას ასული ბურგულაძისა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზაენეს. მეეტლე პასუხის გებაში იქმნება მიცემული.

## თეატრის მატიანე

—

მომღერალი კოსტანიანი ამ ჟამად, თურმე, იტალიაში იმყოფება და ფლორენციაში მღერის სხვა-და-სხვა თეატრებში; ხმა, თურმე, მშვენიერი აქვს და დიდს იმედს იძლევაო; კოსტანიანი ტფილისელი სომეხია და ამ ოთხიოდე წლის წინათ გაემგზავრა უცხოეთში სწავლის მისაღებად.

—

სომხური თეატრი. დღეს დანიშნულია არტისტ ქალის ვარდუის ბენეფისი. წარმოდგენილ იქნება, სუნდუკიანცის კომედია «დანგრეული ოჯახი», მონაწილეობას ღებულობენ ყველა საუკეთესო არტისტები.

## კრება კავკასიის მკურნალთა

16 ნოემბერი

დიდად საყურადღებოა მოხსენება ექიმის მამინოვისა ხუნაგიან ავადმყოფთა წამლობის შესახებ პასტერის მიერ მოგონილ წამლით. 31 ავადმყოფიდგან 21 სრულიად მორჩენილა. მიზეზი ის არის, რომ ავადმყოფნი დროზედ მიიყვანეს სამკურნალოში, სამი-კი გარდაიცვალა, რადგანაც გვიან იყვნენ მიყვანილნი. ზოგს წამალი ვერ მოასწრეს და ამიტომ ვერ უშველეს.

რაც შეეხება იმ 21 მორჩენილს, ექიმის მამინოვის მოხსენებიდგან სჩანს, რომ წამალს ძლიერ მალე ურგია ავადმყოფებისთვის. 24 საათის შემდეგ წამლობისა ძლიერ სიცხიანი და გონება წასული ბავშვი ისე მოკეთებულა, რომ სჭამდა, სვამდა და მხიარულად იყო.

ამ რიგად საშინელ-ავადმყოფობის ხუნაგის მორჩენა ამიერიდგან შესაძლებელია.

## რკინის გზის ამბები.

—

18 ნოემბერს, ქვირდამარის სადგურის ახლოს, რკინის გზის ლიანდაგის ყარაულმა მაქსიმოვმა შეამჩნია, რომ სამი თათარი ლიანდაგის მშალებს მიეზიდებოდნენ. მაქსიმოვმა დაუშალა მშალების ზიდვა, მაგრამ თათრები დაემუქრნენ, მოგკლავთო და თოფიც ესროლეს. დილით აღმოჩნდა, რომ თათრებს 50 მშალი მოუპარავთ.

—

იმავე დღეს შიათურის გზაზედ იჯარადარს იორდანიშვილს $2^1/_2$ ფუთი თოფის წამალი მოჰპარეს.

## სასამართლოს მატიანე.

—

გუშინ-წინ, 29 ნოემბერს, ტფილისის სასამართლო პალატაში განიხილეს სოფელ ზუბის, (ზუგდიდის მაზრა) მცხოვრების გლეხის გიორგი კუკურას ძე ლომაიას საქმე, რომელსაც ბრალდებოდა, რომ 31 იანვარს 1890 წელს იგი ქურდულად დაეცა სოფელ ობუჯში მოვაჭრის დათა ფიფიას დუქანს, გატეხა და წაიღო ჩითეულობა, ფული თუ სხვა-და-სხვა ნივთები, ღირებული 700—800 მან. ქუთაისის საოლქო სასამართლომ დამნაშავეთ სცნო გლეხი ლომაია და 6 მარტს 1893 წ. განჩინებით აჰხადა უოველივე ღირსება და 1 წლით და 2 თვით პატიმართა როტაში გაგზავნა მიუსაჯა. სასამართლო პალატაში დამნაშავეს იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე გ. გვაზავა, რომელმაც ნათლად დაუხატა მსაჯულთ თავის რწმუნებულის ლომაიასი სიმართლე და ითხოვა ბრალდებულის სრული განთავისუფლება. სასამართლომ რამოდენისამე წუთის თათბირის შემდეგ გამოიტანა განჩინება, რომლითაც სრულიად განათავისუფლა ბრალდებული.

—

### პეტერბურგის ბირჟა, 19 ნოემბერს.

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — „ | — „ | 7, 50 |
| 5%, მომგები გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | $213^1/_4$ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — „ | — „ | $101^1/_8$ |
| 4% იმავე ბანკისა . | $97^1/_2$ „ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა. . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | 101 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | $98^7/_8$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 | — „ | — „ |
| აქციები აზოვი-დონის საკომერციო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 639 |
| 5% მომგები ბილეთები პირველის სესხისა . . . . . | — „ | — „ | 295 |
| 5% მომგები ბილეთები მეორე სესხისა . . . . . | — „ | — „ | 255 |

## ცნობა სასამართლოდან.

23 ნოემბერს.

ნესტორ აბაშიძის საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, დანაშაულობისა გამო 1483 მუხ. სას. დად. ძალით.

—

— იულონ, გიგო, ლავრენტი და ხოსრო მალაზონიებსა და ყარამან ტულუშის საქმეები ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე დანაშაულობისა გამო 1579 მუხ. სას. დად. ძალით.

—

— ილიკო ქვ[illegible]ძისა საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, დანაშაულობისა გამო 9 და 2 ნაწ. 1455 მუხ. სას. დად. ძალით.

—

— მეთოდე და ათანასე გუგეშაშვილის საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე დანაშაულობისა გამო გუგეშაშვილებისა 1 ნაწ. 1485 და 1 ნაწ 1465 მუხ. სას. დად.

30 ნოემბერს.

— კიკო ერაძის საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე სააქციზო უწყების ნება დაურთველად არაყის გამოხდის თაობაზედ.—

—


მომავალს 1897 წელს

სასოფლო მეურნეობისა, ეკონომიის და ჰიგიენის

ყოველ-კვირეული ჟურნალი

**„მეურნე“**

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

ჟურნალის გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს: ქუთაისში „მეურნის“ რედაქციას, გეგუთის ქუჩის გადასახვევში, ჭურიას სახლში, № 10; „მეურნის“ რედაქციის სტამბას, თბილისის ქუჩაზე, ნ. სვიმონოვის შენობაში, გუბერნატორის სახლის პირდაპირ და უკვლა წიგნის მაღაზიებს; ზუგდიდში ბ-ნ ირაკლი ქაიხოსროს ძეს კალანდარიშვილს; ოჩამჩირეში ბ-ნს სპირიდონ ნორაკიძეს; ოქუმში ივანე კ. გეგიას; სურამში ბ-ნს იოსებ მესხს; საჩხერეში ბ-ნს ყარამან ჩხეიძეს; ხიდისთავში ბ-ნს სართ გიორგის ძეს ბერიძეს; კიწაში აზნ. დავით ჩაჩიბაიას და ხონში თ-დს ილია ალექსის ძეს წულუკიძეს.

**ჟურნალის ფასი—წლით ხუთი მანათი, ნახევარის წლით სამი მანათი.**

ვინც ჟურნალზე საგაისოდ წრეულს მოაწერს ხელს და ხვედრს ფულსაც გადიხდის, მას ფულის შემოტანის დღიდგან გამოსული წლევანდელი ნომრები გაეგზავნებათ **უსასყიდლოდ**.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ. Редакція **„МЕУРНЭ“**



ВЪ ТИФЛИСѢ ОТКРЫТА ПОДПИСКА

**на 1897 годъ**

**НА АРМЯНСКУЮ ЕЖЕДНЕВНУЮ**

политико-литературную газету

**„НОРЪ-ДАРЪ“**

*(четырнадцатый годъ изданія).*

Газета **„Норъ-Даръ“** въ 1897 году будетъ выходить по прежней программѣ.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА**: съ пересылкою и доставкою по Россійской имперіи: на годъ—10 руб., на полгода—6 руб., на три мѣсяца—3 руб. 50 к.; заграницу на годъ 40 франковъ.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

**ПОДПИСКА** принимается исключительно въ конторѣ газеты „Норъ-Даръ“ въ Тифлисѣ, на Лорисъ-Меликовской улицѣ, домъ № 19.

**ОБЪЯВЛЕНІЯ** принимаются на всѣхъ языкахъ по умѣренной платѣ въ Тифлисѣ—въ конторѣ газеты и въ Москвѣ—въ Центральной конторѣ объявленій Л. и Э. Метцль и К°., Мясницкая, д. Спиридонова. Адресъ: *Тифлисъ, въ редакцію* „Норъ-Даръ“.

За редактора **Минасъ Берберянъ**.

Издатель **Спандаръ Спандарьянъ**. (4—4)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 го Ноября, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია